დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109260907**

თარიღი:**31/03/2026**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (გარე განათების ბოძების ნაწილი) ,,სქაიტელისათვის'' სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, მე-2-ე პუნქტის, 26-ე მუხლის, შპს „სქაიტელის“ 2026 წლის 19 თებერვლის № ST-LG-260219-LT-1 წერილის, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის 09 მარტის №108-1082606810 წერილისა და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის ექსპერტიზის №002290525 დასკვნის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს შპს ,,სქაიტელი''-ს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დმანისის მუნიციპალიტეტში მდებარე გარე განათების 339 (სამასოცდაცხრამეტი) ერთეული გარე განათების ქსელში არსებულ საყრდენზე (ბოძი) წერტილი, მიწის ზედა ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზის მოწყობის მიზნით, 5 (ხუთი) წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, საიჯარო ღირებულებით 1695 (ათასექვსასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი